პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი — ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
3 ოქტომბერი
1940 წ.
№ 230 (5931)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის (მოწინავე)

მოსკოვის პარტორგანიზაციათა მდივნების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების კრება (1-ლი გვ.)

შაქრის ჭარხლის მოსავალი ავიღოთ სწრაფად და უდანაკარგოდ (მე-2 გვ.)

პარტიული ცხოვრება: გულმოდგინედ ვუხელმძღვანელოთ მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებს; გულმოდგინედ ვიმუშაოთ პარტიის წევრობის კანდიდატებთან (მე-3 გვ.)

ილო მოსაშვილი — გაზალეთის ღამე—ნაწყვეტი პოემიდან (მე-3 გვ.)

კ. კალანდაძე — გავაძლიერთ საბჭოების მუდმივ მოქმედი კომისიების მუშაობა (მე-3 გვ.)

„აბესალომ და ეთერი“ ოპერის თეატრში (მე-4 გვ.).

უცხოეთში:

ინგლის-გერმანიის ომი (მე-2 გვ.)

უცხოეთის პრესა სამი სახელმწიფოს პაქტის შესახებ (მე-2 გვ.)

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზარმოდაგენლის განცხადება (მე-2 გვ.)

ამერიკის სენატის გადაწყვეტილება (მე-4 გვ.)

ჰელის განცხადება (მე-4 გვ.).

სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის

ქოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 8 ივლისის დადგენილება წარმოადგენს საბრძოლო პროგრამას მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ახალი სისტემა გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მეცხოველეობის განვითარებაში.

თუ 1939 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში მეცხვრეობის ფერმების ჩათვლით 3.521 ფერმა გვქონდა, 1940 წ. 1 ივლისისათვის უკვე 8.854 საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა იყო.

საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ამოცანაა კიდევ უფრო განამტკიცონ საზოგადოებრივი მეცხოველეობა კოლმეურნეობებში, რადგან ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესები. ეს გვეკარნახებს, რომ ყოველმხრივ სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის. ზამთარი უკვე კარზეა მომდგარი. თუ მოუმზადებელს მოგვისწრო, ადგილი ექნება პირუტყვის დაცემას. ამას მოწმობს საქართველოს ზოგიერთი რაიონის შარშანდელი გაკვეთილი პირუტყვის გამოზამთრების საქმეში.

უნდა ითქვას, რომ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება საქართველოში აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ გაუთვალისწინებიათ, რომ გამოზამთრებისათვის საუკეთესოდ მომზადების საკითხი ახლა წყდება.

გამოზამთრებისათვის გულდასმით მომზადება, ეს ნიშნავს: უზრუნველვყოთ პირუტყვი უხეში, წვნიანი (სილოსი) და კონცენტრირებული საკვებით, სუფთა, ნათელი და თბილი ბინებით. მართალია, საქართველომ გადაჭარბებით შეასრულა თივის აღების გეგმა, მაგრამ ამ საქმეში სერიოზულად ჩამორჩნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკა, წყალტუბოს, მახარაძის, ხობის, ქარელის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ზესტაფონისა და სხვ. რაიონები. წელს თივის უხვი მოსავალია. მაშასადამე, არსებობს პირობები, რომ უკლებლივ ყველა რაიონმა შეასრულოს თივის აღების გეგმა. საჭიროა, სადაც ეს შესაძლებელია, ჩაატარონ თივის მეორედ აღება.

საკვების დასილოსების გეგმა საქართველოში 25 სექტემბრისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 60,2 პროცენტით. დასილოსებულია 60.163 ტონა საკვები. აფხაზეთში შეუწყნარებლად ჩიანურდება სასილოსე კოშკების მშენებლობა. საკვების დასილოსების საქმეში ჩამორჩენილია წულუკიძის, ჩოხატაურის, ხაშურის, გორის, კასპის, ხობისა და სხვ. რაიონები. თელავის რაიონის სოფ. მატნის და წინანწყარის კოლმეურნეობებს 76 ტონიანი სასილოსე ორმო უნდა ეგოთ თვითეულს, მაგრამ ეს სამუშაო თვითდინებაზეა მიხდობილი. ასევე უდარდელად ეკიდებიან საკვების დასილოსებას თელავის რაიონის სოფ. ყარაჯალის და წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობებში. ამჟამად საკვების დასილოსების საუკეთესო მომენტია. გაცხოველებით მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, კარტოფილის, სიმინდისა და სხვ. კულტურების აღება, რომელთა ნარჩენები მთლიანად სილოსისათვის უნდა იქნას გამოყენებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე დასილოსების ხარისხს.

მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სერიოზულად არ მოეკიდნენ ხელი პირუტყვის საღგომების დროზე აშენებისათვის. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ახალციხის, გორის, გურჯაანის, ბაშკირეთისა და ლორეს რაიონებში. საზამთრო საღგომების ნელი ტემპებით მშენებლობის მიზეზი ისიც არის, რომ ჯერ კიდევ ყურადღება არ არის მობილიზებული სამშენებლო მასალების ადგილობრივ გამონახვისა და გამოყენებისათვის. ზოგან კი გამოყოფილ სამშენებლო ხე-ტყის მასალას დროზე არ იყენებენ. ეს ითქმის უპირველეს ყოვლისა ახალქალაქის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ხაშურის, კასპის, ქუთაისისა და ჭიათურის რაიონებზე. დუშეთის რაიონის მეცხოველეობის საბინაო მშენებლობის გეგმა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ჩაშლის საფრთხის წინაშეა. ბორჯომის რაიონის სოფ. ტაძრისის კოლმეურნეობამ 60 სული პირუტყვისათვის ბოსლის აგება ამ ორი წლის წინათ დაიწყო, მაგრამ იგი ჯერაც არ არის დამთავრებული.

ყოველივე ეს აშკარად მოწმობს, რომ საქართველოს მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოები არასაკმაო დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ კოლმეურნეობებს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საქმეში.

ჯერ კიდევ არის დრო იმისათვის, რომ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ზამთარს. პარტიის რაიკომები, რაისაბჭოების აღმასკომები, რაიმიწგანები საფუძვლიანად უნდა ჩასწვდნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების ყველა საკითხს. მათ იმნაირად უნდა გაშალონ მუშაობა, რომ პირველ ნოემბრამდე დამთავრდეს პირუტყვის საღგომების მშენებლობა და რემონტი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ კოლმეურნეობათა მთელი პროდუქტიული პირუტყვი ამ ზამთარში მოთავსებულ იქნას სუფთა, თბილ შენობებში და პროფილაქტიკური ღონისძიებათა გატარებით თავიდან ავიცილოთ პირუტყვის ყოველგვარი დაავადება.

საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის ყველა კოლმეურნეობაში უნდა გამოიყოს საფურაჟე ფონდი წლიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე ხელუხლებელი საკვები ფონდი. კოლმეურნეობებმა არა უგვიანეს 1 ნოემბრისა უნდა დაამთავრონ თივის და სხვა საკვების საზამთრო ადგილზე მიზიდვა, უზრუნველჰყონ მისი კარგად შენახვა, ზუსტი აღრიცხვა და ხარჯვა.

ჯარი გამოზამთრებით უზრუნველვყოთ პირუტყვის სულადობის მთლიანად შენარჩუნება და გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა! ეს არის საქართველოს თვითეული რაიონის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მეცხოველეობის ფერმების მუშაკთა ღირსების საქმე.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ 1 ოქტომბრის ცნობებით

რაიონები	წლიური გეგმა ტონობით	მოკრეფილია დღემდე ტონობით	სექტემბერში მოკრეფილი ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	სექტემბრის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	1.865	1.836,8	249,2	98,5	116,7
ქობულეთი	8.556	7.928,3	1.049,7	92,7	105,3
გალი	4.017	3.482,2	569,3	86,7	115,4
ჩაქვი	2.344	1.821,1	188,8	77,7	71,5
სოხუმი	50	34,9	2,6	69,8	47,3
გუდაუთი	70	84,7	9,7	121	121,3
მახარაძე	11.174	10.626,6	1.414,8	95,1	104,3
ჩოხატაური	1.475	1.387,3	198,4	94,1	112,1
ლანჩხუთი	3.660	3.286,3	400,9	89,8	91,3
სამტრედია	330	275,1	36,8	83,4	92
წულუკიძე	1.755	1.724,1	186,9	98,2	88,6
ქუთაისი	190	192,8	11,9	101,5	51,7
წყალტუბო	430	351,3	29,7	81,8	57,1
ტყიბული	620	630,1	53	101,6	71,6
ცხაკაია	1.230	1.065,4	150	86,6	102
გეგეჭკორი	3.037	2.606,2	353,2	85,8	97
ზუგდიდი	5.908	5.443,9	731,4	92,1	108
წალენჯიხა	2.072	1.722,9	289,2	83,2	122,5
ჩხოროწყუ	1.820	1.463,9	159,2	80,4	71,4
ხობი	511	405,5	32,2	79,4	53,7
სულ რესპუბ-ლიკაში	51.114	46.370,9	6.116,9	90,7	101

სექტემბრის პირველ ხუთდღიურში მოიკრიფა 458,2 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორეში—1.005.8, მესამეში—906,8, მეოთხეში—858,5, მეხუთეში—999 და მეექვსე ხუთდღიურში—1.888,6 ტონა.

1 ოქტომბრისათვის სულ დამზადებული ფოთლიდან პირველი ხარისხის არის 66,9 პროცენტი, მეორე ხარისხის—10,4 და მესამე ხარისხის—22,7 პროცენტი.

ახალხიბულის ჩაის ფაბრიკის (ხობის რაიონი) ცნობები 25 სექტემბრისაა.

1 ოქტომბრისათვის საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილი იყო 12.184,2 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი—წლიური გეგმის 95,6 და სექტემბრის გეგმის 103,8 პროცენტი. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმები შეასრულეს სალიბაურის, ჩაქვისა და წულუკიძის საბჭოთა მეურნეობებმა.

მოსკოვის პარტორგანიზაციათა მდივნების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების კრება

1 ოქტომბერს შესდგა მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების კრება, რომელიც მიეძღვნა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნების მე-2 წლისთავს.

კრება გახსნა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პოპოვმა.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნების მეორე წლისთავისა და პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. ალექსანდროვმა.

თავისი მოხსენება ამხ. ალექსანდროვმა დაიწყო იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის დახასიათებით, რაც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ აქვს საბჭოთა ხალხის ბრძოლაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის განხორციელებისათვის.

— კულტურის ისტორია, — ამბობს ამხ. ალექსანდროვი, — იცნობს საკმაოდ ბევრ უდიდეს ნაწარმოებს, რომლებიც შექმნილია ადამიანის გონების მიერ. ასეთ გამოჩენილ მსოფლიო ქმნილებათ ეკუთვნის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიც“. ბოლშევიკურმა პარტიამ შეჰქმნა წიგნი, რომლის იდეებზე იზრდება მილიონობით ადამიანი და აღიზრდება მრავალი თაობა. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გამოქვეყნდა 1938 წლის შემოდგომაზე. ამ დროისთვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი იყო ადამიანთა ერთიანი სოციალისტური საწარმოო ურთიერთობა, ლიკვიდირებული იყო მრავალგვაროვნობა სახალხო მეურნეობაში. ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების უმთავრესი მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, რაც ბრწყინვალედ დემონსტრირებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1937 წლის დეკემბრის არჩევნებში. პარტიის წინაშე დაისახა ამოცანა — განემტკიცებინა და განევითარებინა საბჭოთა ხალხის ეს მორალურ - პოლიტიკური და იდეური ერთიანობა. სწორედ ამ ამოცანის განხორციელების მძლავრ საშუალებად იქცა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შექმნის წინა წლებში პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა წამოაყენეს ლოზუნგი „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“. ტექნიკას დაუფლებული კადრები არიან არა მარტო ის კადრები, რომლებმაც საუცხოოდ შეისწავლეს თავიანთი სპეციალობა და ისწავლეს გამოსწურონ ტექნიკას ყველაფერი, რის მოცემაც კი მას შეუძლია, არამედ ავრეთვე კადრები, რომლებიც კარგად ერკვევიან პოლიტიკურ მოვლენებში, ესმით საზოგადოებრივი განვითარების კანონები, ესმით ჩვენი პარტიის პროგრამა, სტრატეგია და ტაქტიკა, შესწევთ უნარი საქმით განახორციელონ პარტიის პოლიტიკა. სწორედ ამხანაგ სტალინის უშუალო, პირადი მონაწილეობით შექმნილს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ უნდა გადაეჭრა ასეთი კადრების აღზრდისა და მომზადების ამოცანა.

მარქსიზმ - ლენინიზმის დარგის ძირითად ცოდნათა ამ შესანიშნავმა ბოლშევიკურმა ენციკლოპედიამ გზა გაუხსნა ჩვენი კადრების იდეურ ზრდას, კულტურული რევოლუციის შემდგომ წარმატებებს სსრ კავშირში. წარმატება, რომელიც განვლილი ორი წლის მანძილზე მიღწეულ იქნა ბოლშევიკური პროპაგანდის დარგში, უზრუნველყოფილი იყო „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შექმნით, იმით, რომ ლიკვიდირებულ იქნა დაშორება ლენინიზმისა და მარქსიზმის პროპაგანდისა, ლენინიზმისა და დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პროპაგანდისა. ლენინიზმისა და პარტიის ისტორიის პროპაგანდისა. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მეოხებით ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს კადრებს მიეცათ ლენინ-სტალინის პარტიის დიადს იდეებზე ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა.

ორი წლის განმავლობაში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გამოიცა 17 მილიონი ცალის რაოდენობით, გადაითარგმნა 57 ენაზე. ასე არ გავრცელებულა არცერთი წიგნი მას შემდეგ, რაც XV საუკუნეში გუტენბერგმა გამოიგონა წიგნის ბეჭდვა! „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ფართოდ გავრცელდა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მისი ფარგლების გარეთაც. ბურჟუაზიული მთავრობები კრძალავდნენ ამ წიგნს, უსასტიკეს რეპრესიებს მიმართავდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც მას კითხულობდა და ავრცელებდა, სპეციალურ კანონებსაც კი სცემდნენ, მაგრამ ყოველივე ამაო იყო! მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობა კითხულობს და სწავლობს ამ შესანიშნავ სტალინურ წიგნს, ეძებს და პოულობს მასში პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც მას აღელვებს.

ამხ. ალექსანდროვს მოჰყავს მრავალი მეცნიერი მუშაკის, სტახანოველი მუშის, უცხოელი ამხანაგის აზრი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესახებ. ყველა ამ შეფასებაში ხაზგასმულია ერთი რამ: პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო მოუწოდებს წინსვლისაკენ, იძლევა აწყოს გაგების საშუალებას, ფარდას ხდის მომავალს. ოდესღაც მარქსი „კაპიტალის“ შესახებ სწერდა, რომ ეს უდავოდ ყველაზე საშინელი ყუმბარაა, რომელიც კი ოდესმე მოხვედრია თავში ბურჟუას. ეს სავსებით შეიძლება ითქვას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსზედაც“!

აჯამებს რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ საფუძველზე ორი წლის განმავლობაში წარმოებული პროპაგანდისტული მუშაობის შედეგებს, ამხ. ალექსანდროვი ხაზს უსვამს პროპაგანდისტული მუშაობის გიგანტურ გაშლას ამ ხნის განმავლობაში. მარტო უმაღლეს სასწავლებლებში ერთ მილიონამდე ჭაბუკმა და ქალიშვილმა შეისწავლა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ცნობებით, მარტო მოსკოვში 20 ათასზე მეტმა კომუნისტმა დაამთავრა „მოკლე კურსის“ ყველა 12 თავის შესწავლა. მაგრამ განა შეიძლება აღრიცხულ იქნას ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი, რომელიც დამოუკიდებლად სწავლობს პარტიის ისტორიას?! საკმარისია ითქვას, რომ მარტო მოსკოვში „მოკლე კურსი“ გავრცელდა მილიონნახევარი ცალის რაოდენობით. ამ წიგნზე მუშაობამ ჩვენს კადრებს მშაუნერგა საკუთარი ძალებისადმი რწმენა, იმის რწმენა, რომ მათ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად დაეუფლონ ციხე-სიმაგრეს, რომელსაც მეცნიერება ეწოდება. არაჩვეულებრივად ფართოდ განვითარდა პროპაგანდა პრესაში, ავრეთვე სიტყვიერი პროპაგანდა—ლექციები, თეორიული მოხსენებანი და სხვ. მაგალითად, „მოკლე კურსის“ მარტო პირველი თავის შესახებ გამოქვეყნდა 467 სტატია და წიგნი, მეორე თავის შესახებ—256, მესამე თავისა—389, მეოთხისა—756 (ხოლო საოლქო და რაიონული პრესის სტატიებთან ერთად —2 ათასზე მეტი), მერვე თავისა—954, მეცხრე თავისა—98, მეათისა—41, მეთერთმეტისა—55, მეთორმეტისა—782.

ეს ციფრები ცხადჰყოფენ ბევრითი პროპაგანდის კოლოსალურად გაშლას და ამავე დროს მის ისეთ სერიოზულ ნაკლოვანებას, როგორიცაა ცალკეული თავების არათანაბარი პოპულარიზაცია, ქერძოდ, არასაკმაო პოპულარიზაცია იმ თავებისა, რომლებიც ამოქმებენ ოქტომბრის შემდგომ პერიოდს პარტიის ისტორიაში.

— ორი წლის განმავლობაში შესრულებული მუშაობა,—ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. ალექსანდროვი,—ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვაქვს შესასრულებელი. ჯერ კიდევ მოიპოვებიან ჩვენში ადამიანები, მათ შორის კომუნისტებიც, რომელნიც არამარტო უვიცნი არიან, არამედ კიდეც ყოყოჩობენ თავიანთი უვიცობით. ამ უვიცთა წინაალმდეგ, იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომელთაც არა სურთ წინ წავიდნენ თავის განვითარებაში, ჩვენ ახლა უნდა მივმართოთ პარტიული საზოგადოებრივი აზრის ცეცხლი.

როცა კომუნისტს არა სურს იმუშაოს თავისთავზე, თავისი იდეური დონის ამაღლებაზე—ეს სხვა არაფერია, თუ არ კომყოყოჩობის გამოვლინება, თუ არ შემცდარი და ჩვენი პარტიისათვის უცხო შეხედულება, თითქოს ყველა ამოცანის გადაჭრა შეიძლებოდეს უბრალო დეკრეტირებით, უცოდნელად, სერიოზული მომზადების გარეშე, ბეჯითი და სისტემატური სწავლის გარეშე.

პროპაგანდისტული მუშაობის უაღრესად სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს მისი აკადემიზმი, აბსტრაქციულობა, ცხოვრებისაგან მოწყვეტილობა, რაც ბევრგან ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ამხ. ალექსანდროვს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები კარგად დაყენებული პროპაგანდისა. იგი ლაპარაკობს მოსკოვის ქარხანა „სერპი მოლოტის“, ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაზე, კიევის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაზე, რომლებიც პარტიულ კრებებზე აყენებენ და იხილავენ ლენინურ-სტალინური მოძღვრების საკითხს, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საკითხს. ასეთი კრებები მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობენ, ამ კრებებზე თეორიულ საკითხებს მჭიდროდ უკავშირებენ პრაქტიკულ მუშაობას, ყოველდღიურ ბრძოლას მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის.

პროპაგანდისტული მუშაობის წარმატების უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა პირადი მონაწილეობა ამ მუშაობაში. საჭიროა შევიგნოთ, რომ პარტორგანიზაციის მდივანი არ შეიძლება იყოს კომუნისტთა სწავლის უბრალო რეგისტრატორი. იგი უნდა იყოს ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში მათთვის კონტროლისა და ეფექტური დახმარების გაწევის ორგანიზატორი. და სავსებით სწორედ მოიქცა, მაგალითად, ქ. მოსკოვის სვერდლოვის რაიკომი, რომელმაც პარტიულ სამუშაოდან მოხსნა პარტორგანიზაციის მთელი რიგი მდივნები, რომელნიც თვითონ არ სწავლობდნენ და ხელმძღვანელობას არ უწევდნენ პროპაგანდისტულ მუშაობას.

დასასრულ ამხ. ალექსანდროვი შეჩერდა ჩვენი კადრების თეორიული და კულტურული ჰორიზონტის შემდგომი გაფართოების ამოცანებზე, რევოლუციური თეორიის — ისტორიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის საკითხების შემდგომი დამუშავებისა და განვითარების ამოცანაზე. ამ მხრივ ჩვენი თეორიული კადრები ჩამორჩენილი არიან, მათ ძალიან ცოტა რამ აქვთ გაკეთებული.

ხაზს უსვამს რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და გავლენას მთელი სოციალისტური კულტურის განვითარებაზე, ამხ. ალექსანდროვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ლიტერატურის, დრამატურგიის, კინოს ყველა საუკეთესო ქმნილება შთაგონებულია ისეთი დიადი წყაროთი, როგორიცაა ლენინ-სტალინის იდეები, როგორიცაა ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ისტორია.

— ყოველი კომუნისტი, ყოველი საბჭოთა მოქალაქე,—დასძენს ამხ. ალექსანდროვი თავისი მოხსენების დასასრულს,—თავის მუშაობაში ყოველდღიურად უნდა მიმართავდეს ლენინისა და სტალინის უკვდავ ნაშრომებს, მიმართავდეს სტალინური აზროვნების გენიალურ ქმნილებას—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“. დღეს, ამ შესანიშნავი წიგნის გამოქვეყნების მეორე წლისთავზე, ჩვენი აზრი და გრძნობა მიმართულია მასი შემოქმედისაკენ, ჩვენი ეპოქის ყველა დიადი საქმის ხელისჩამდგმელისაკენ—ჩვენი მშობლიური და დიდი სტალინისაკენ.

გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!**

კრების მონაწილენი აღფრთოვანებული ოვაციით ეგებებიან ამ სიტყვებს. მჭუხარი ტაშით ხვდება კრება წინადადებას გაეგზავნოს მისალმება ამხანაგ **სტალინს.** ეს მისალმება მიღებულ იქნა ერთხმად. (საკდესი).

მოსკოვი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

საქართველოს ახალგაზრდობა ლენინური კომუნისტური კავშირის XV ყრილობა მგზნებარე კომკავშირულ სალამს გიძღვნით თქვენ—საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს, ქართველი ხალხის სახელოვან შვილს.

საქართველოს კომკავშირი, რომელიც თქვენს მიერ არის აღზრდილი დედა სამშობლოსადმი და დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით, ახალი შესანიშნავი მიღწევებით შეეგება თავის XV ყრილობას.

ასრულებდა რა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და დიდი **სტალინის** ბრძნულ მითითებებს, საქართველოს კომკავშირმა გააძლიერა თავისი მონაწილეობა სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მშენებლობაში, მტკიცედ და ღრმად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, გამოავლინა და აღზარდა ახალი აქტივი.

საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე,—სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სკოლებსა და დაწესებულებებში — კომკავშირი ჩვენი დიდი სამშობლოს სადიდებლად აქტიურად იბრძვის ახალ-ახალი სოციალისტური გამარჯვებისათვის, ქვანახშირისათვის, ნავთისათვის, მარგანეცისათვის, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების სტალინური მოსავლისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

საქმიანად შეაჯამა რა კომკავშირის მიერ გაწეული მუშაობა, საქართველოს ალკკ XV ყრილობამ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ჩვენი მუშაობის შემდგომი გაჩაღებისათვის.

ჩვენ მომავალშიც დაუცხრომლად ვიბრძოლებთ **ლენინ-სტალინის** პარტიის დირექტივების შესრულებისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი მეგობრისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** მითითებათა შესრულებისათვის.

ჩვენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა ბოლშევიკური რეალიზაციის საფუძველზე ვიბრძოლებთ ჩვენს საწარმოებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, ვეცდებით მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი კომკავშირელი მაღალი შეგნებულობისა და შრომის დისციპლინის მაგალითის მიმცემი გახდეს.

ბოლშევიზმის ღრმა დაუფლებით, **ლენინ-სტალინის** პარტიის გმირული ისტორიის ფურცლების შესწავლით, ჩვენ გავაძლიერებთ ახალ აქტივთან მუშაობას, პარტიისა და კომკავშირის გარშემო დავრაზმავთ სოციალიზმის მშენებელთა ფართო მასებს. საქართველოს კომკავშირი დაუცხრომლად გააძლიერებს თავის რევოლუციურ ბოლშევიკურ სიფხიზლეს, მომავალშიც შეუპოვრად დაუფლება სამხედრო ცოდნას, აღზრდის დიადი სოციალისტური სამშობლოს ღირსეულ დამცველებს.

საქართველოს კომკავშირი, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილია ლენინურ-სტალინურ ტრადიციებით, აღსავსეა უსაზღვრო სიყვარულით თავისი დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი, მშობლიური დიდი **სტალინისადმი,** აღსავსეა უსაზღვრო მზადყოფნით — იბრძოლოს კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიადს, უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ერთგულ სტალინელს, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს—ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას!**

გაუმარჯოს კომუნიზმის გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — მშობლიურ, საყვარელ დიდ **სტალინს!**

ამიერკავკასიის უღიდესი გეოგრაფიისათვის მეცნიერული ხარისხის მინიჭება

უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გ. ნ. გეხტმანს დისერტაციის დაუცველად მიანიჭა ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის მეცნიერული ხარისხი.

პროფესორი გეხტმანი ამიერკავკასიის ეკონომიური გეოგრაფიის ფუძემდებელია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ძვირფასი ნაშრომი ქართულ ენაზე: „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“, „საქართველოს საწარმოო ბუნებრივი ძალები“, „საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოკლე ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევები“. მისი ნაშრომი „მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია“ დღემდე ერთადერთი ნაშრომია ქართულ ენაზე ამ დარგში.

ამჟამად პროფესორმა გეხტმანმა გამოსაცემად მომამზადა რუსულ ენაზე სპეციალური კურსი „ნარკვევები დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან“, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე. ეს ნაშრომიც ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი საუნივერსიტეტო კურსია მოგზაურობათა და აღმოჩენათა ისტორიისა. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 2 ოქტომბერი. უმაღლესი სარდლობა იუწყება: 1 ოქტომბერს დღისით და ღამით გერმანიის ავიაციამ ხელახლად მიიტანა იერიში სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან ობიექტებზე ლონდონში, სამხრეთ და შუა ინგლისში. მთელ რიგ რაიონებში ბევრგან ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. ჩვენმა ავიაციამ დაბალი ფრენის დროს ყუმბარა დაუშინა პემბროკ-კერიუს აეროპორტს, სადაც ძალზე დაზიანებულია ანგარები. ამასთან მტრის რამდენიმე თვითმფრინავი მოსპობილ იქნა მიწაზე.

ჩვენი ავიაციის სხვა შეხვედრები თავს დაესხნენ ლივერპულის სანავსადგურო ნაგებობებს და მანჩესტერის სამრეწველო საწარმოებს. მათ მიერ ჩამოყრილმა ყუმბარებმა ბევრგან გაანია და გამოიწვია აფეთქება.

ღამით მტრის რამდენიმე თვითმფრინავი ყუმბარას უშენდა დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ ქალაქებს. ბევრ სახლში ხანძარი გაჩნდ

მიმღებ პუნქტებზე შაქრის ჭარხლის თავის დროზე გადაზიდვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ ამოღებული შაქრის ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებზე გადაზიდვის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

ჭარხლის გადაზიდვაზე კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალისა და ავტოტრანსპორტის არასაკმაოდ გამოყენების გამო ჭარხლის მოსავლის აღების პირველ დღეებიდანვე გადაზიდვა ჩამორჩა ამოღებას, რის შედეგადაც ამოღებული შაქრის ჭარხლის მნიშვნელოვანი რაოდენობა რჩება მინდვრად ჰარგავს შაქრიანობას და ფუჭდება.

1940 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობის მიხედვით ხაშურის რაიონში ამოღებული 26.000 ცენტნერი ჭარხლიდან გადაზიდული არ იყო 5.140 ცენტნერი, ხოლო კასპის რაიონში 8.148 ცენტნერიდან გადაზიდული არ იყო 2.166 ცენტნერი ჭარხალი.

შაქრის ჭარხლის არა თავის დროზე გადაზიდვის შედეგად დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 27 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

1. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებს, მტს-ების დირექტორებს, მიწგანების გამგეებს და ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიონების კოლმეურნეობათა გამგეობებს უზრუნველჰყონ ამოღებული ჭარხლის გადაზიდვა ამოღების დღეს, მაგრამ არა უგვიანეს შემდეგი დღისა; არ დაუშვან დაშორება ამოღებასა და გაწმენდას შორის, გაწმენდასა და გადაზიდვას შორის, რისთვისაც ჭარხლის გადასაზიდად დაუყოვნებლივ გამოჰყონ ცოცხალი გამწევი ძალისა და ურმების საჭირო რაოდენობა და მთლიანად გამოიყენონ კოლმეურნეობათა მთელი არსებული ავტოტრანსპორტი.

2. კოლმეურნეობათა თვითეულ ავტომანქანაზე და ცოცხალი გამწევი ძალის თვითეულ ურელზე დაწესდეს ჭარხლის გადაზიდვის შემდეგი სეზონური ნორმები:

ავტოტრანსპორტით შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სეზონური ნორმები (ერთ მანქანაზე ტონობით):

გადაზიდვის მანძილი	გადაზიდვის ვადები													
	5 დღე		10 დღე		15 დღე		20 დღე		30 დღე		40 დღე		50 დღე	
	გაზაა	ზის 5	გაზაა	ზის 5	გაზაა	ზის 5	გაზაა	ზის 5	გაზაა	ზის 5	გაზაა	ზის 5	გაზაა	ზის 5
5 კილომეტრი	60	108	120	216	180	324	240	432	360	648	480	864	600	1080
5—10 „	48	92	96	184	144	276	192	368	288	552	384	736	480	920
10—15 „	40	76	80	144	120	216	160	288	240	432	320	576	400	720
15—20 „	32	58	64	116	96	174	128	232	192	348	256	464	320	580
20—30 „	24	44	48	88	72	132	96	176	144	264	192	352	240	440

კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალით შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სეზონური ნორმები (ერთ უღელ ხარზე, ტონობით):

გადაზიდვის მანძილი	გადაზიდვის ვადები						
	5 დღე	10 დღე	15 დღე	20 დღე	30 დღე	40 დღე	50 დღე
5 კილომეტრი	7	14	21	28	42	56	70
5—10 „	4	8	12	16	24	32	40
10—15 „	3,5	7	10,5	14	21	28	35
15—20 „	1,75	3,5	5,25	7	10,5	14	17,5
20—30 „	1,5	3	4,5	6	9	12	15

3. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეობებს დააწესონ კოლმეურნე მზიდავებისა და მტვირთავების და კოლმეურნეობათა ავტომანქანების მოფერების შრომის ანაზღაურების შემდეგი წესი მათ მიერ შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სეზონურ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების დროს:

ა) დაწესებული სეზონური დავალების შესრულების დროს ჭარხლის გადაზიდვაზე გამწევი ძალით მომუშავე კოლმეურნეებს დაერიცხოთ შრომადღეები ერთნაირი რაოდენობით;

ბ) კოლმეურნეობათა ავტომანქანების მოფერებს სეზონური ნორმის დაწესებულ ვადაში შესრულების დროს შრომის არსებული ანაზღაურება გაუდიდდეთ 20 პროცენტით;

კოლმეურნეობის ავტომანქანებით დაწესებულ ვადებში სეზონური ნორმის ზევით გადაზიდული ჭარხლის თვითეული ტონისათვის შრომა ანაზღაურებულ იქნას ერთნაირი რაოდენობით;

გ) კოლმეურნეებს, რომლებიც კოლმეურნეობათა ავტომანქანებზე ჭარხლის დატვირთა-გადმოტვირთვაზე მუშაობენ, ავტომანქანით გადაზიდვის სეზონური ნორმის შესრულების დროს შრომადღეები დაერიცხოთ ერთნაირი რაოდენობით;

სეზონური ნორმის ზევით გადაზიდული ჭარხლის თვითეულ ტონაში დაერიცხოთ შრომადღეები ორმაგი რაოდენობით კოლმეურნეობებში არსებულ შეფასებებთან შედარებით;

დ) კოლმეურნეებს, რომლებიც „სოიუზზაგოტტრანსის“ მანქანებზე მუშაობენ, ჭარხლის გადაზიდვის დღიური ნორმის შესრულების დროს შრომადღეები დაერიცხოთ ერთნაირი რაოდენობით.

4. ამოღებული ჭარხლის სრული დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობების გამგეობებს დაევალოს გამოჰყონ სპეციალური პირები ჭარხლის დასაცავად დატაცებისაგან, პირუტყვის მიერ წახდენისაგან და სხვ.

5. დაევალოს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. საყვარელიძეს უზრუნველჰყოს მიმღები პუნქტების შეუფერხებელი მუშაობა, არ დაუშვას ჭარხლის ჩამბარებელ კოლმეურნეთა დიდხანს გაჩერება და დააწესოს სასტიკი კონტროლი პუნქტების მიერ მიღებული შაქრის ჭარხლის აწონის სისწორეზე.

6. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიკომების მდივნებს და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს თვითეულ კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე და კოლმეურნემდე დაიყვანონ შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სამუშაოთა ანაზღაურების დადგენილი წესი და ყოველდღიურად ადევნონ თვალი ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. შერმაზია

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე

ინგლის-გერმანიის ომი

საჰაერო ბრძოლები ინგლისში

ბერლინი, 1 ოქტომბერი (საკ-დესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, დღეს დილიდან გერმანიის ყუმბარმშენთა ესკადრილიები ზედიზედ განაგრძობენ ინგლისზე იერიშის მიტანას. ინგლისის ტერიტორიაზე საჰაერო ბრძოლა არ სწყდება. ამამდე მიღებული ცნობის თანახმად, ამ ბრძოლის დროს ჩამოგდებულია ინგლისის 12 ავიაგამანადგურებელი, აქედან 6 „სპიტფაიერი“ და 6 „ჰარიკეინი“. გერმანიის ავიაციას არცერთი თვითმფრინავი არ დაჰკლებია.

ინგლისის გემები საუჩანგეთის საესკადრო ნაღმოსნებს სდევნიან

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის საააგენტო გადმოგვცემს ესპანეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობას იმის შესახებ, რომ ინგლისის სამხედრო გემები სეუტის (ესპანეთის მაროკო) მახლობლად სდევნიან საფრანგეთის ორ საესკადრო ნაღმოსანს.

ჯიბუტის ბომბარდირების გამო

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საააგენტო გადმოგვცემს, ვიშში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ინგლისის მთავრობამ ბოდიში მოიხადა საფრანგეთის წინაშე ინგლისის ავიაციის მიერ ჯიბუტის ბომბარდირებისათვის და დასთანხმდა ზარალის ანაზღაურებას.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ბერლინი, 1 ოქტომბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, 1 ოქტომბერს, დილით, გერმანიის ყუმბარმშენთა ესკადრილიებმა წარმატებით დაესხა თავს შოტლანდიის სანაპიროზე მდებარე აერონომ. შეირნაესებმა დაბომბა ფრენბრიუ, 30 მეტრ სიმაღლიდან დაყარეს ყუმბარები ახვარებს, რის შედეგადაც ხანძარი გაჩნდა. გადაცემა, ტელეფონისა და ტელეგრაფის ცენტრმა გაანადგურა აეროდრომზე რამდენიმე თვითმფრინავი.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ბერლინს

ბერლინი, 1 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ, თანახმად დამატებითი ცნობებისა წუხელ ბერლინზე ინგლისის თვითმფრინავების თავდასხმის შესახებ, ყუმბარები დაუშინეს უმთავრესად იმ უბნებსა და დაბებს, რომლებიც ბერლინის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთ გარეუბნებში მდებარეობენ. ყუმბარები, რომლებიც ბერლინის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანს დააყარეს, ბალებში დაეცა. ახლო მდებარე სახლების მცხოვრებნი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სადგომები.

ლონდონის მოსახლეობის გაჭირვებული მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტო გადმოგვცემს, თავშესაფრები ლონდონის სამხრეთ ნაწილში, რომლებშიც 20 ათასი მუშა აფარებს თავს, წარმოადგენენ „ცივს, ნესტიან, სანახევროდ ბნელ ჯურღმულებს“, ისინი მოთავსებული არიან უზარმაზარ ბინძურ, უდეზინფექციო სარდაფებში. ამ რაიონში საცხოვრებელი სადგომები ნახევრად დანგრეულია, არ გააჩნიათ ფანჯარა და სახურავი. ჭუჩები მოფენილია ნუშისა და ავეჯის ნამსხვრევებით. როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ გადმოგვცემს, დღითიდღე მატულობს იმათი რიცხვი, ვინც ლონდონს სტოვებს. მაგრამ ლონდონიდან გასვლა ხდება წყნარად, უპანიკოდ. ბევრი უკმაყოფილოა თავისი რაიონის ყუმბარსაფარებით და თავშესაფარს სხვა ადგილას ეძებს. 29 სექტემბერს, ნაშუადღევს, სავაჭრო დაწესებულებათა შენობების ახლოს ლონდონის დასავლეთ ნაწილში გრძელი რიგები იდგა და ელოდა შესვლის ნებართვას. საჰაერო განგაშის გამოცხადებისთანავე შენობები გაიღო. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საიმედო დაცვა ღამის თავდასხმებისგან დღემდე არ არის გამონახული. არის ცნობები, რომ ინგლისელები რამდენიმე კვირის განმავლობაში მოახდენენ საჰაერო თავდაცვის უახლეს საშუალებათა შემოწმებას.

ინგლისის საჰაერო ძალების ახალი მეთაური

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, ინგლისის საჰაერო ძალების მეთაურად დანიშნულია ავიაციის მარშალი ჯონ სლესერი, რომელიც ამ თანამდებობაზე ცვლის ავიაციის მარშალ ედვარდ ბალ-ბერტრამს, რომელიც ხელმძღვანელობდა ინგლისის საჰაერო ბრძოლას გერმანიასთან.

უცხოეთის პრესა სამი სახელმწიფოს პაქტის შესახებ

გერმანია

ბერლინი, 30 სექტემბერი (საკდესი). მთელი გერმანიის პრესა ფართო კომენტარებს უკეთებს გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის დადებული პაქტის ტექსტს.

„ნაციონალ ცაიტუნგი“ სწერს, რომ „გაჩაღებული ომის დროს გერმანიამ და იტალიამ დამხმარე იპოვეს იაპონიის სახით. იაპონია, გერმანია და იტალია წარმოადგენენ ერთიან სამხედრო ბლოკს.

ამგვარად პაქტის დადების შემდეგ იაპონია ღერძის სახელმწიფოთა მხარეზე გამოდის მათს საბოლოო ბრძოლაში ინგლისის წინააღმდეგ“.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბერლინის პაქტმა გავლენის სფეროები გაანაწილა ღერძის სახელმწიფოებსა და იაპონიას შორის.

ხაზს უსვამს რა ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებულ როლს ინგლისის ბრძოლაში, „ჰამბურგერ ფრემდენბლატი“ აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში თავს იჩენს სამხედრო პარტიის გავლენა, რომელიც ინგლისთან კავშირის განმტკიცებისათვის მოქმედებს. გაზეთი ამ სამხედრო პარტიას აკისრებს პასუხისმგებლობას ომის შემდგომი გაფართოებისათვის.

მთელი პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბერლინის პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა დამოკიდებულებას სსრ კავშირისადმი არავითარი ცვლილება არ განუცდია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სწერს „ბერლინერ ბერზენციტუნგი“ იმ ფაქტს, რომ „სამი სახელმწიფოს ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ ეხება არსებულ და მომავალ ურთიერთობას სამ სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირს შორის“. ასეთსავე აზრს გამოსთქვამენ სხვა გაზეთებიც.

დღეს მთელი პრესა აქვეყნებს დაწვრილებითს ამონაწერებს გაზეთ „პრავდის“ სტატიიდან — „ბერლინის პაქტი სამთა კავშირის შესახებ“.

ა. შ. შტატები

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის საააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ავტორიტეტულ წრეებში ეშვი არ ეპარებათ, რომ პაქტი მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. გაზეთების უმრავლესობა სწონს, რომ ეს პაქტი აფართოებს ომის სფეროს. გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ მოუწოდებს, გააძლიერონ დახმარება ინგლისისადმი და მეტი იარაღი, ტანკი და თვითმფრინავი მიაწოდონ მას. ამასთანავე გაზეთი მოითხოვს ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტას იაპონიასთან.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ პოლიტიკური მიმომხილველი ლიპმანი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ატლანტის, ისე წყნარი ოკეანეს და რომ ინგლისის კუნძულების შენარჩუნება უაღრესად საჭიროა. ლიპმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ინგლისის კუნძულების დაკარგვასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები შორეულ აღმოსავლეთსაც დაჰკარგავენ“.

გაზეთების უმრავლესობა დაჟინებით მოითხოვს ინგლისისადმი დახმარების გაძლიერებას.

ინგლისი

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტო იუწყება, ინგლისის პრესა ერთსულოვნად აღიარებს, რომ სამი სახელმწიფოს პაქტი აფორმებს იმ ურთიერთობას, რაც ფაქტიურად უკვე დიდი ხანია არსებობს გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის. „ტაიმსი“ სწერს, რომ „იაპონიამ გამოსთქვა სიმპატიები, რომლებსაც იგი არასოდეს არ ჰფარავდა“.

ლონდონის წრეების საერთო აზრით, პაქტის დადება ახლოვებს ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმას ომში.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პაქტის დადება ამერიკის შეერთებული შტატებისათვის არ შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, რომ მათ ჟარი სთქვან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ დასახულ პოლიტიკაზე. ამერიკას, დასძენს გაზეთი, „ძალუძს უგულვებელჰყოს პაქტი და თავისი პოლიტიკა განსაზღვროს ისე, რომ ანგარიში არ გაუწიოს ამ პაქტის პუნქტებს“.

„სანდეი ტაიმსი“ შემდეგნაირად განმარტავს იმ მიზნებს, რომლებსაც ბერლინის პაქტის მონაწილენი ისახავენ: იაპონელებს იმის იმედი აქვთ, რომ პაქტი შეაკავებს რუზველტს წყნარ ოკეანეში მოქმედებისაგან. გერმანია და იტალია, თავის მხრივ, იმედოვნებენ, რომ ეს ხელს შეუშლის ამერიკის შეერთებულ შტატებს დახმარება გაუწიონ ინგლისს. „მაგრამ,—ამტკიცებს გაზეთი, — საეჭვოა, რომ ახალმა პაქტმა დიდი გავლენა მოახდინოს ამათუიმ მიმართულებით“.

ინგლისის პრესა რწმენას გამოსთქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უფრო მეტ დახმარებას გაუწევენ ინგლისს და შემდეგშიც განმტკიცდება ინგლის-ამერიკის ურთიერთობა.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ტოკიო, 30 სექტემბერი (საკდესი). დომეი ცნობების სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებას, რომელიც მან დღეს პრესკონფერენციაზე გააკეთა.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, რამდენადაც ეს ევროპის ომს შეეხება, იაპონია რჩება „ნეიტრალური, მიუხედავად სამთა პაქტის დადებისა“. იაპონიას, გერმანიასა და იტალიას შორის დადებული პაქტი, აღნიშნა წარმომადგენელმა, მარტო კავშირი ან ურთიერთ დახმარება-თანამშრომლობის უბრალო პაქტი როდია. ეს სამხედრო კავშირია. მისი დამახასიათებელი თვისებები გამოხატულია 1 და 2 მუხლით, რომელნიც ითვალისწინებენ მონაწილეთა საერთო ღონისძიების განხორციელებას აღმოსავლეთ აზიასა და ევროპაში ახალი წესრიგის შექმნისათვის. სამთა პაქტი თავისი ხასიათით შემოქმედებითი და თავდაცვითი პაქტია. შეუძლებელია ეს დახასიათება სათანადოდ არ შეეფასოთ. „სამივე მონაწილემ ხელი ხელს ჩაჰკიდა, რათა შეჭიდნან ახალი წესრიგი და იხსნან მთელი მსოფლიო ომის საშიშროებისა და საშინელებისაგან“.

წარმომადგენლის სიტყვით, იაპონია არ აპირებს გამოიწვიოს ან თავს დაესხას რომელიმე სხვა ქვეყანას.

სამთა პაქტის ტექსტის გამოქვეყნებულ ინგლისურ თარგმანში, განაცხადა წარმომადგენელმა, ყველა მნიშვნელოვანი პუნქტია მოყვანილი. ამ ტექსტში არსებითი არაფერია გამოტოვებული.

წარმომადგენელს შეეკითხნენ, ართულებს თუ არა პაქტი იაპონიისა და ინგლისის ურთიერთობასო; მან უპასუხა: სამთა პაქტი უფრო ამარტივებს ინგლის-იაპონიის ურთიერთობას, ვინაიდან ინგლისს მხოლოდ ერთ კურსს უტოვებს იაპონიასთან ურთიერთობისათვის. ეს კურსი არის აღმოსავლეთ აზიაში ახალი წესრიგის აღიარება. ყოველი ქვეყანა, რომელიც ამ წესრიგის წინააღმდეგ გამოდის, მიჩნეულ იქნება ისეთ ქვეყნად, რომელიც უარს ამბობს იაპონიასთან თანამშრომლობაზე. წარმომადგენელმა გაიხსენა, რომ იაპონიას არასოდეს არ დაუკარგავს იმის იმედი, რომ ურთიერთობას მოაწესრიგებდა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. იაპონური პრესა დამშვიდებულ კილოს ინარჩუნებს და თავს იკავებს იმისაგან, რომ რომელიმე ცალკეული ქვეყნის წინააღმდეგ გაილაშქროს.

წარმომადგენელს ჰკითხეს: გადასდებს თუ არა იაპონიის მთავრობა დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნას ავსტრალიაში პაქტის დადების შედეგად? წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პაქტს არაფერი აქვს საერთო ავსტრალიაში დესპანის დანიშვნასთან, ავრეთვე იაპონიისა და სხვა ქვეყნების ურთიერთობასთან. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კანადის დესპანად ახლადდანიშნული იოსიძავა სეიძირო ემზადება გასამგზავრებლად და თავისი პოსტის დასაკავებლად. მთავრობა ახლო მომავალში დანიშნავს დესპანს ავსტრალიაში.

კითხვაზე, უკვე დაინიშნა თუ არა სამთა პაქტით გათვალისწინებული საერთო ტექნიკური კომისიები, წარმომადგენელმა უპასუხა, ამ კომისიებს წევრები მალე დაინიშნებიანო.

შემდეგ წარმომადგენელს ჰკითხეს პაქტის მე-3 მუხლის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს იაპონიის, გერმანიისა და იტალიის ურთიერთ დახმარებას ყოველი პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო საშუალებით, იმ შემთხვევაში, თუ სამ მხარეში ერთს თავს დაესხმის სახელმწიფო, რომელიც ამჟამად არ იღებს მონაწილეობას ევროპის ომში ან იაპონია-ჩინეთის კონფლიქტში. წარმომადგენელმა უპასუხა, ასეთი თავდასხმა აღიარებულად ნამდვილი მტრული მოქმედების დაწყებას ან ომის გამოცხადებას არ უნდა ნიშნავდეს. ამ საკითხებს ერთად გადაწყვეტს პაქტის სამი მონაწილე.

კითხვაზე, შეუშვებენ თუ არა უცხოეთის გემებს იაპონიის ნავსადგურებში, წარმომადგენელმა უპასუხა: უცხოეთის ყველა გემს და მათ შორის ინგლისის გემებს იაპონიის ნავსადგურები საერთაშორისო კანონებისა და ჩვეულებათა თანახმად მიიღებენო. კითხვაზე, მისცემენ თუ არა გერმანიის სამხედრო გემებს, მათ შორის წყალქვეშა ნავებს, განსაკუთრებულ პრივილეგიებს იაპონიის ნავსადგურებში, წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პაქტით ასეთი განსაკუთრებული პრივილეგიები გათვალისწინებული არ არის.

წარმომადგენელი შეეხო ჰოლანდიის ინდოეთს და სთქვა, რომ იაპონიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული არაფერია მიღწეული. წარმომადგენლის სიტყვით, საფრანგეთის ინდო-ჩინეთში სავსებით მშვიდობიანი მდგომარეობაა.

შემდეგ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იაპონიისა და ამერიკის ხელისუფალთ შორის შანხაიში მოლაპარაკებაა გამართული საერთაშორისო სეტლმენტის სექტორის დაცვის შესახებ ინგლისის ჯარის წაყვანის შემდეგ. მაგრამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ჯერ მიღწეული არ არისო.

წარმომადგენელს სთხოვეს აზრი გამოეთქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის უელესის განცხადებაზე სამთა პაქტის შესახებ. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არის რამდენიმე ვერსია ამ განცხადებისა. ერთერთი ვერსიის თანახმად, უელესმა გაილაშქრა იაპონიის წინააღმდეგ გერმანიასთან და იტალიასთან სამთა პაქტის დადებისათვის. მეორე ვერსიით, უელესმა აღნიშნა: არ არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით არ შეიძლებოდეს, და სამთა პაქტში სენსაციური არაფერიაო.

ახალი კოლხიდის მშენებლობაზე

ფერგანელთა მდიდარი გამოცდილების მიხედვით ფოთის, ზუგდიდის, აბაშის, ცხაკაიას, ლანჩხუთის და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონების კოლმეურნეები აქტიურად მონაწილეობენ კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოებში. კოლმეურნეებს, რომლებიც დიდი ენტუზიაზმით მუშაობენ, კოლხიდაში გაჰყავთ გზები და არხები, ისინი აკეთებენ ხიდებიგორებს, სწმენდენ დამშრალ ნიადაგს უსარგებლო ტყე-ჯაგნარისაგან, საფუძვლიანად ამაგრებენ მდინარეთა ნაპირებს და სხვ.

კოლხიდის ზონის მთელ რიგი რაიონული გაზეთები ფართოდ აშუქებენ კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და ათვისებისათვის კოლმეურნე ფერგანელთა მიერ წარმოებული სამუშაოების მიმდინარეობას და პრაქტიკულად ეხმარებიან მათ საქმის უკეთესად დაყენებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ კოლხიდმშენის მრავალტირაჟიანი გაზეთის — „ახალი კოლხიდისათვის“ ნაყოფიერი მუშაობა. ეს გაზეთი, რომელიც 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა, არა მარტო აშუქებს დაშრობის და ათვისების სამუშაოების მიმდინარეობას, არამედ ამასთან ერთად იჩენს საკუთარ ინიციატივასაც.

როგორც „კომუნისტის“ 28 სექტემბრის ნომერში ვწერდით, გაზ. „ახალი კოლხიდისათვის“ თაოსნობით მოეწყო კოლხიდის მშენებლობაში მონაწილე ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეთა მომართვა აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ფოთის, ჩოხატაურის, წულუკიძისა და სამტრედიის რაიონებს კოლმეურნეებისადმი. ზუგდიდელმა ფერგანელებმა, რომლებმაც მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს, მოუწოდეს მეზობელი რაიონების კოლმეურნეებს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კოლხიდის დაშრობისა და ათვისების სამუშაოთა გეგმების წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად.

ამ მიმართვამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში საქმიანი გამოხმაურება ჰპოვა. ენტუზიაზმით შეუდგა რა მუშაობას, ზუგდიდის რაიონის 2.000 კოლმეურნემ მოაღწია შრომის ნაყოფიერების ყოველდღიურ გადიდებას. პირველ დღეს მათ შეასრულეს 2.200 კუბური მეტრი მიწის სამუშაო, მეორე დღეს — 5.044 კუბური მეტრი, მესამე დღეს კი იგი 6.300 კუბურ მეტრამდე აიყვანეს.

როგორც ზუგდიდის რაიონული გაზეთი „მებრძოლი“ სწერს, სოფ. ანაკლიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებიც კოლხიდმშენში მუშაობენ, 10 დღის ნორმა 6 დღეში შეასრულეს. სოფ. ცაიშის კოლმეურნეობა „ცაცხვის“ წევრებმა 10 დღეში 1.347 კუბური მეტრი მიწა ამოიღეს და ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ განსაკუთრებული ენერგიით დაიწყეს ჭარხლის დანაკარგებს არ ებრძვიან და უკვე ამოღებული შაქრის ჭარხლის გადაზიდვას აფერხებენ.

ჩვენი ავტომანქანა ხაშურის რაიონის სოფელ ნაცარგორის კოლმეურნეობა „ახალი ნაბიჯის“ მინდვრებში შეჩერდა. აქ ბ. გრიგოლაშვილის და ა. ხარჩილაძის ბრიგადებს 15 ჰექტარზე აუღიათ შაქრის ჭარხლის მოსავალი; მაგრამ ბლომად დაუტოვებიათ შაქრის ჭარხლის ამოთხრილი და ამოუთხრელი ძირები; ფართობი აქტით არ იყო მიღებული, ხოლო შიგ პირუტყვი სძოვდა. შემდეგ, ჩვენ გავიარეთ სოფელ დიდიფლევის კოლმეურნეობის შაქრის ჭარხლის პლანტაციებში, რომელსაც პირუტყვი ანადგურებდა. აგრეთვე აღმოჩნდა, რომ სოფელ დუმაცხოს კოლმეურნეობის № 1 ბრიგადაში შაქრის ჭარხალს პუნქტში არ ჰგზავნიან ურმების უქონლობის გამო.

ქარელის რაიონის სოფელ საციხურის კოლმეურნეობა „კომუნიზმის სხივის“ შაქრის ჭარხლის ფართობში, რომელშიაც ბევრი დანაკარგი იყო, პირუტყვი თარეშობდა. ამას კი უდარდელად შესცქეროდნენ იქ მომუშავე კოლმეურნეები, ბრიგადირი ს. ბოჭორიშვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ცაბაძე.

რა მდგომარეობაა გორის და კასპის რაიონებში? გორის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს 2.163 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ჩააბარეს, ხუთდღიური გადაზიდვის ვადები დაწესებულ ფარგლებში დაწესებული სეზონური ნორმის ზევით გადაზიდული ჭარხლის თვითეულ ცენტნერში შრომადღეები დაერიცხოთ ორმაგი რაოდენობით;

ბ) კოლმეურნეობათა ავტომანქანების მოფერებს სეზონური ნორმის დაწესებულ ვადაში შესრულების დროს შრომის არსებული ანაზღაურება გაუდიდდეთ 20 პროცენტით;

კოლმეურნეობის ავტომანქანებით დაწესებულ ვადებში სეზონური ნორმის ზევით გადაზიდული ჭარხლის თვითეული ტონისათვის შრომა ანაზღაურებულ იქნას ერთნაირი რაოდენობით;

გ) კოლმეურნეებს, რომლებიც კოლმეურნეობათა ავტომანქანებზე ჭარხლის დატვირთა-გადმოტვირთვაზე მუშაობენ, ავტომანქანით გადაზიდვის სეზონური ნორმის შესრულების დროს შრომადღეები დაერიცხოთ ერთნაირი რაოდენობით;

სეზონური ნორმის ზევით გადაზიდული ჭარხლის თვითეულ ტონაში დაერიცხოთ შრომადღეები ორმაგი რაოდენობით კოლმეურნეობებში არსებულ შეფასებებთან შედარებით;

დ) კოლმეურნეებს, რომლებიც „სოიუზზაგოტტრანსის“ მანქანებზე მუშაობენ, ჭარხლის გადაზიდვის დღიური ნორმის შესრულების დროს შრომადღეები დაერიცხოთ ერთნაირი რაოდენობით.

4. ამოღებული ჭარხლის სრული დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობების გამგეობებს დაევალოს გამოჰყონ სპეციალური პირები ჭარხლის დასაცავად დატაცებისაგან, პირუტყვის მიერ წახდენისაგან და სხვ.

5. დაევალოს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. საყვარელიძეს უზრუნველჰყოს მიმღები პუნქტების შეუფერხებელი მუშაობა, არ დაუშვას ჭარხლის ჩამბარებელ კოლმეურნეთა დიდხანს გაჩერება და დააწესოს სასტიკი კონტროლი პუნქტების მიერ მიღებული შაქრის ჭარხლის აწონის სისწორეზე.

6. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიკომების მდივნებს და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს თვითეულ კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე და კოლმეურნემდე დაიყვანონ შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სამუშაოთა ანაზღაურების დადგენილი წესი და ყოველდღიურად ადევნონ თვალი ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. შერმაზია

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე

დავაჩქაროთ ციფრუსების მუნობა

(სამტრედია, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

თუ მიწგანის მუშაკთა ზეპირ განცხადებას დავუჯერებთ, სამტრედიის რაიონში ციტრუსების საზაფხულო მუნობის გეგმის შესრულებას 20.000 ძირი ნამყენი აკლია. ნამდვილად კი მ

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკურად უზელმძღვანელოთ მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებს

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებამ ამასწინათ ლენინის სახელობის რაიონში შეამოწმა მცირერიცხოვანი პარტორგანიზაციების მუშაობა. 13 მცირერიცხოვანი პარტორგანიზაციის საქმიანობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მათს მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ფაბრიკა „სოვეტსკაია იგრუშკას“ პარტორგანიზაციაში (მდივანი—ამხ. სიხაშვილი) პარტიულ ჟრებებს ახასიათებს (ჯერ მოშზადება და დაბალი პოლიტიკური დონე.

მაგალითად, მიმდინარე წლის 9 აპრილს საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენების გარშემო პარტიულ კრებაზე კამათში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კაცმა. მოხსენების გამო არავითარი დადგენილება არ გამოუტანიათ.

პარტიული მეურნეობა მოუწესრიგებელია (პარტიული კრებების ოქმებს არასწორად აფორმებენ, 2 ოქმი დანომრილია ერთი და იგივე ნომრით). ერთ ოქმში არ არის აღნიშნული კრების თარიღი, რამდენიმე ოქმისათვის თავმჯდომარესა და მდივანს ხელი არ მოუწერიათ, ოქმი № 5 საქმეებში არ აღმოჩნდა.

მილიციის პირველი განყოფილების პარტორგანიზაციაში (ყოფილი მდივანი ამხ. ბოლოტაევი) პარტკრებების ოქმებს ინახავენ მილიციის მომოწერის საქმეებში, პარტიის 11 წევრიდან და კანდიდატიდან არავითარი პარტიული და საზოგადოებრივი დავალება არა აქვს 6 კაცს—ამხ. ა. ხაჭაძეს, ა. პატაშურს, რ. შარაშენიძეს, გ. ყუპრაშვილს და სხვ. ამავე ორგანიზაციაში ადგილი აქვს საწევრო გადასახადების უწყისის არასწორად შევსებას.

სასამართლოს და პროკურატურის პარტორგანიზაციაში (მდივანი—ამხ. არჩვაძე) 1940 წ. თებერვლიდან, საანგარიშო კრების შემდეგ, პარტიის წევრობის არცერთი კანდიდატი არ მიუღიათ საკ. კ. პ. (ბ) წევრად იმ დროს, როდესაც აღნიშნულ პარტორგანიზაციაში აღრიცხვაზე მყოფ პარტიის სამივე კანდიდატს აქვს ვადაგადაცილებული საკანდიდატო სტაჟი. ვ. ლეჟავამ, პარტიის კანდიდატმა 1938 წ. დეკემბრიდან, პარტიაში მიღების შესახებ განცხადება შეიტანა 1940 წ. მარტში, პარტორგანიზაციას ეს განცხადება არ გაურჩევია.

6 პარტკრებაზე განხილული 7 საკითხიდან ადგილობრივია მხოლოდ სამი. პარტიულ კრებებზე კომუნისტები აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ. მაგალითად, 1940 წ. 15 აპრილს საუბნო საბალნო მოსამართლეთა მუშაობის საკითხზე კამათში არავინ გამოსულა.

არ ხორციელდება კონტროლი პარტკრებების გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ამ პარტორგანიზაციაში ივლის-აგვისტოს განმავლობაში პარტიული კრება სამჯერ ჩაშალა. 7 თვის განმავლობაში კედლის გაზეთის მხოლოდ 3 ნომერი გამოვიდა.

ხის დამმუშავებელი მექანიკური ჭარხნის პარტორგანიზაციაში (მდივანი—ამხ. კოპტონაშვილი), მოსმენილ საკითხებზე ან არავითარ ღონისძიებას არ იღებენ, ან იღებენ არაკონკრეტულს. მაგალითად, 1940 წ. 7 ივნისს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის შესახებ მოხსენების ირგვლივ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ, ხოლო საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლის შესახებ მოხსენების ირგვლივ მიიღეს ორი მუხლისაგან შემდგარი გადაწყვეტილება: 1. „მოეწყოს კონფერენციები არა გამოცდების, არამედ გამოცდილებათა შესწავლისა და გაზიარების მიზნით; 2. მიენდოს აგიტატორებს დახმარება გაუწიონ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებს მასალების შერჩევასა და გაუგებარი საკითხების გარკვევაში“ (?!)

აგურის ქარხანაში სუსტად არის დაყენებული პროპაგანდისტული და საagიტაციო მუშაობა. პარტიის 6 წევრიდან ორი ჯერ კიდევ არ შესდგომია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლას, მათ დღემდე არა აქვთ ეს სახელმძღვანელო. ესენი არიან: გიორგი აბუაშვილი (პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე) და დავით აბუაშვილი. დანარჩენი კომუნისტები სწავლობენ პარტიის ისტორიის მეორე თავს (რ. მწარეაშვილი, მერისაშვილი, ავაკიანი და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ 25-ზე მეტმა სომეხმა მუშამ არ იცის ქართული და რუსული ენები, სომხური ენის მცოდნე აგიტატორები დღემდე არ გამოუყვიათ. მუშები მარქარიანი, არუთინოვი, სარქისოვი და სხვ. თხოულობენ სომხურ ენაზე გაზეთების კითხვას. გამოყოფილი აგიტატორი მერისაშვილი აგიტაციას თვითონ არ აწარმოებს. მან ეს საქმე მიანდო ზ. ხომოვს, რომელიც ჯერ კიდევ არ შესდგომია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლას. ხოლო თვით გაზეთის წამკითხველ ნ. ახმედოვს 1-დან 6 სექტემბრამდე გაზეთი თავისთვისაც არ წაუკითხავს.

საქ. კ. პ. (ბ) ლენინის სახელობის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მხრივ ხელმძღვანელობა არადამაკმაყოფილებელია. რაიკომის ინსტრუქტორები იშვიათად თუ შეიხედავენ მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებში.

ფაბრიკა „სოვეტსკაია იგრუშკას“ პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. სიხაშვილი, აგრეთვე რაიონის სასამართლოს და პროკურატურის, თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს და მე-48 სკოლის პარტორგანიზაციათა მდივნები აცხადებენ, რომ რაიკომის ინსტრუქტორს საანგარიშო კრების შემდეგ მათთვის არავითარი დახმარება არ გაუწევია.

პარტიის რაიკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებს და ყოველდღიური კონკრეტული დახმარება გაუწიოს მათ პარტიული მუშაობის საკითხებში: პარტიული კრების მომზადებასა და ჩატარებაში, ოქმების გაფორმებაში, საწევრო ანარიცხების აკრეფაში, საagიტაციო და საპროპაგანდო მუშაობის დაყენებაში, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში.

მ. იაროვა, მ. შარუხია, ი. შუბლაძე

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორები.

გულმოდგინედ ვიმუშაოთ პარჯიის წევრობის კანდიდატებთან

თბილისის აბრეშუმ-საქსოვ ფაბრიკასთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ 1940 წლის იანვრიდან დღემდე პარტიის წევრად მიიღო 26 კაცი, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატად—20; ამათ შორის 16 ქალია. პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია მრავალდაზგოსანი ამხ. გვიშიანი, რომელიც ყოველთვიურ დავალებას 110 პროცენტით ასრულებს. პარტიაში მიღებულია აგრეთვე ახალგაზრდა ინჟინერი გამომგონებელი გ. ხომასურიძე და სხვ.

პარტიის წევრობის კანდიდატთა შორის, რომლებიც უშუალოდ დაზგაზე მუშაობენ, 57 სტახანოველი და 16 დამკვრელია. საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები აქვთ ამხ. ჰიჭინაძეს, გამყრელიძესა და გურგენიძეს. ეს ამხანაგები მრავალდაზგოსნები არიან და ყოველდღიურ გეგმებს 125 პროცენტით ასრულებენ.

ფაბრიკაში არიან პარტიის წევრობის ისეთი კანდიდატები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, არ ესწრებიან ლექციებსა და კონსულტაციებს და სხვ. მაგალითად, ამხ. ჭაბიანი, გამყრელიძე, ჰავჭანიძე და სხვ.

ფაბრიკაში არიან პარტიის წევრობის ისეთი კანდიდატები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, არ ესწრებიან ლექციებსა და კონსულტაციებს და სხვ. მაგალითად, ამხ. ილაშვილი დღემდე არ გასცილებია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მეორე თავს. მან მხოლოდ ახლა განაცხადა, რომ არ შეუძლია პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შესწავლა.

საამქროების პარტიული ბიუროები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ პარტიის წევრობის კანდიდატების მიერ პარტიის წესდებისა და პროგრამის შესწავლას. სამღებრო საამქროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ჩანადირმა თავის საამქროში მომუშავე პარტიის წევრობის 22 კანდიდატს უკვე შეასწავლა პარტიის წესდება.

ფაბრიკაში მომუშავე პარტიის წევრობის 80 კანდიდატიდან საკანდიდატო სტაჟი გასული აქვს 30 კაცს. ერთი თვიდან ერთ წლამდე სტაჟი გადაცილებული აქვს 23 კაცს, ხოლო ერთ წელზე მეტი—7 კაცს.

ფაბრიკის პარტიულმა ბიურომ კიდევ უფრო მეტი უნდა იმუშაოს პარტიის წევრობის კანდიდატებთან. (საქდესი).

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის კონსულტანტი ამხ. გ. ბიბილეიშვილი (მარჯვნივ) ატარებს კონსულტაციას საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის საკითხებზე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

გავაძლიეროთ საბჭოების მუდმივ მოქმედი კომისიების მუშაობა

ივნისის პირველ რიცხვებში მშრომელთა დეპუტატების თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივ მომქმედმა კომისიამ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატის ექიმ რ. ქორჩილავას წინადადება საზაფხულო პერიოდში რაიონის ბავშვთა კუჭის აშლილობის, დიზენტერიის წინააღმდეგ სამკურნალო - პროფილაქტიური ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

ამ დღეს სხდომას კომისიის ყველა წევრი ესწრებოდა აქტივთან ერთად. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში თითქმის ყველა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. ილაპარაკეს პროფესორებმა ნ. მასხულიამ, ე. სობესტიანსკიმ, სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ბაისაგულოვმა და სხვ. ყველა იწონებდა ამ ინიციატივას და აღნიშნავდა მის უაღრეს მნიშვნელობას. გადაწყდა, რომ ეს საკითხი გადაეტანათ ჯანმრთელობის რაიონულ განყოფილებაში და შესდგომოდნენ მის პრაქტიკულად განხორციელებას.

ჯანმრთელობის დაცვის მუდმივმა კომისიამ ამ მუშაობაში ჩაება არა მარტო კომისიის გარე მყოფი დეპუტატები, არამედ სპეციალისტი ექიმებიც. კერძოდ ამ ინიციატივის განხორციელებისათვის გამოყენებული იყვნენ ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის მუშაკები: ამხ. მ. საყვარელიძე, ია კუხალაშვილი, ე. მოშიაშვილი და სხვ.

რაიონში გამოიკვლიეს დაახლოვებით ორი ათასზე მეტი ბავშვი. დედებთან ჩაატარეს საუბრები ზაფხულის პერიოდში ბავშვის მოვლის შესახებ და დაურიგეს მათ დიზენტერიისა და კუჭის აშლილობის საწინააღმდეგო ბაქტერიოფაგი. ბავშვთა ავადმყოფობის შემთხვევებში მათ ეწეოდათ დამატებითი მკურნალობა. ამჟამად ჯამდება ჩატარებული მუშაობის შედეგები და უახლოეს თვეებში მოსმენილი იქნება რაისაბჭოს აღმასკომის მორიგ სხდომაზე.

ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის მუშაობის აქტივში შედის რაიონის პოლიკლინიკებისა და აფთიაქების მუშაობის შემოწმება მშრომელთა უკეთესად მომსახურების მიზნით და სხვ.

კიდევ შეიძლება ჩამოითვალოს ის ღონისძიებები, რომლებიც ჩატარებია ჯანდაცვის კომისიას და ამით დახმარება გაუწევია რაისაბჭოსთვის ამომრჩეველთა ჯანმრთელობის დაცვის მთელ რიგი საკითხების გადაჭრაში.

რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე ცალკეული დეპუტატები აყენებენ ახალ საკითხებს. ისინი ყოველდღიური მუშაობით ეხმარებიან საბჭოს რაიონის კეთილმოწყობაში. ამას წინათ დეპუტატმა ი. ბაქრაძემ რაისაბჭოს აღმასკომში შემოიტანა წინადადება ლენინის ქუჩაზე (სადაც ის უერთდება გმირების მოედანს) კლდის გაწმენდისა და გამაგრების შესახებ, რადგან კლდიდან ხრეში იყრება და შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევა. ეს წინადადება მოწონებულ იქნა და ახლა მიმდინარეობს მისი განხორციელება. დეპუტატები მ. გაბელაია, ნ. იობაშვილი, ვ. ბაზაძე, მ. ხომასურიძე და სხვ. ენერგიულად ეხმარებიან რაისაბჭოს აღმასკომს მუშაობის ახლებურად მოწყობაში. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებიდან უკვე 9 თვე გადის და მუდმივ მომქმედი კომისიების უმრავლესობას დღემდე ვერ გაუშლია საჭირო მუშაობა.

რაში უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი?

რაისაბჭოს მუდმივ კომისიებში რაისაბჭოს 140 დეპუტატიდან ჩაბმულია 59. კომისიების წევრების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ რაიონის დაწესებულებათა ხელმძღვანელები. სამწუხაროდ ესენი ხშირად ვერ კომისიების „საპატიო წევრები“ არიან. მაგალითად, რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსი დეპუტატი ნ. საძაგლიშვილი ერთხელაც არ დასწრებია კომუნალური კომისიის სხდომას. ასევე ითქმის დეპუტატების გ. ალავიძის (საქ. ჰიდროელექტროპროექტის მმართველი), მ. ევმენოვის (მუსიკალური სკოლის დირექტორი) და სხვ. შესახებ. რაც შეეხება დეპუტატებს წარმოება-დაწესებულებებიდან ასეთები კომისიებში ცოტაა ჩაბმული. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ კომისიებში ცალკე დეპუტატებიდან 20 კაცზე მეტი არ მუშაობს. დანარჩენი 60-ზე მეტი დეპუტატი კი მოწყვეტილია კომისიების მუშაობას. ჩვენ არაფერს ვამბობთ ამომრჩევლებიდან იმ აქტივის შექმნაზე, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მუდმივი კომისიების ნაყოფიერი მუშაობა. კომისიების მუშაობაში აქტივის მიზიდვაზე არავინ ზრუნავს.

ამგვარად მუდმივი კომისიების ახლანდელი მუშაობა არადამაკმაყოფილებელია.

რაისაბჭოს აღმასკომს დღემდე ერთხელაც არ მოუწვევია თათბირი კომისიების მუშაობის გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მიზნით. კომისიების წევრთა და ცალკე დეპუტატთა ინსტრუქტაჟზე აქ ნაკლებად ზრუნავენ. ამიტომაც მთელი რიგი მუდმივი კომისიები სახელმწიფოებრივ საქმიანობას არ ეწევიან.

რატომ არ შეიძლებოდა მუდმივ სასკოლო კომისიას (თავმჯდომარე ი. ჩხუბიანაშვილი) თავის სხდომებზე განეხილა სასწავლო წლისათვის მზადების, სკოლების რემონტის, მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის და სხვ. საკითხები, ანდა დეპუტატებს მოეწყოთ რეიდი იმის გამოსარკვევად თუ როგორ სრულდება დადგენილება ბავშვთა უმეთვალყურეობაზე, მაღაზიებში ბავშვებისათვის მაგარი სასმელების და პაპიროსის გაყიდვის აკრძალვის შესახებ და სხვ.

რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი ამხ. გელოვანი, ჩვენს შეკითხვაზე თუ რა ხელმძღვანელობას უწევენ ისინი მუდმივ კომისიებს, როგორ ეხმარებიან მათ, აცხადებს: ჩვენ რომ ვხელმძღვანელობდეთ კომისიებს, ისე როგორც წინათ სექციების მუშაობას, რასაკვირველია მაშინ კომისიები უკეთესად, ნაყოფიერად იმუშაებდნენ, მაგრამ ახლა ამის საშუალება არ გვაქვს.

მაშ ვინ უნდა ზრუნავდეს მუდმივი კომისიების მუშაობაზე? სესიებს შორის სახელდობრ რაისაბჭოს აღმასკომი უნდა დაეხმაროს მუდმივ კომისიებს, — წარმართოს მათი მუშაობა, განაზოგადოს მოწინავეთა საქმიანობა და მათი გამოცდილება გადასცეს უფრო სუსტად მომუშავეებს.

მუდმივი კომისიები ეს არ არის რაისაბჭოს სექციები. კომისიებს მიცემული აქვთ მეტი უფლებები და მოვალეობანი. მათ შეუძლიათ საქმიანი კრიტიკა გაუწიონ აღმასკომს, დაეხმარონ მას. შემთხვევითი არ არის ის, რომ კომისიები თავიანთი საქმიანობისათვის პასუხისმგებელნი არიან რაისაბჭოს სესიის წინაშე.

მუდმივი კომისიები სერიოზული დამხმარენი არიან საბჭოების მუშაობაში. მათი მუშაობა მაშინ იქნება ცხოველმყოფელი, როცა დეპუტატები, რომლებიც იქ შედიან, თავის ირგვლივ შემოიკრებენ აქტივს და იქნებიან ინიციატივიანი, შეუპოვარნი, გამოიჩენენ თაოსნობას ახალი საკითხების დაყენებაში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოწვეულ იქნას თბილისის ქალაქის საბჭოსა და რაისაბჭოების მუდმივი კომისიების წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი, მათი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებათა ურთიერთ გაზიარების მიზნით. ეს უთუოდ დიდ სარგებლობას მოიტანს მუდმივი კომისიების მუშაობის შემდგომი გამოცოცხლებისა და დეპუტატთა საქმიანობის უკეთ დაყენების საქმეში.

კ. კალანდაძე

ილო მოსაშვილი

ბაზალეთის ღამე

ნაწყვეტი პოემიდან

ბაზალეთიდან წამოვა ქარი,
ფრთებით მოზომავს ქედებს ტყიანებს,
მერე:
ტბის პირას, ჭორივით ჩქარი,
ჩამოსხმულ ლერწმებს აახმიანებს.

ადგება ტალღა,
ტალღა თუ ტბაში
ოხვრით ჩამდგარი ცრემლი და ჯავრი
და უცქერს დიდხანს, დაღლილ გზაში,
თრიალეთიდან მოსული მგზავრი.

სამი ღამეა ბილიკებს ჰკვალავს,
კაცს ერიდება,
ქურდულად მოდის,
დღისით გამოვლილ ნაკვალევს მალავს,
ღამე თავს აკლავს გზასა და ლოდინს.

სამი ღამეა,
უძილო თვალებს
თვლემას არ აცლის ფიქრი გვიანი:
მოვა და მონურ სიცოცხლეს დალევს, —
ესა ყოფილა ადამიანი.

ესა ყოფილა თავიდან წესი
და უსამართლო ცხოვრების მსჯავრი!
მიწვა ბალახზე და უხმო კვნესით,
ცას მიაშტერდა მდუმარე მგზავრი...

საღამოც მგზავრივით მოადგა ბაზალეთს
და ბინდმა შეუკრა უბენი,
საიდან მოზდეს და ცაში დაცალეს
ამდენი ზავი და ღრუბელი!

საიდან მორეკეს ამდენი ფარები,
არც ძაღლი,
არც მწყემსი,
არავინ!
რა დიდი ბინაა ცა მიუკარები,
რა დიდი კარავი!

მოდიან ღრუბლები, ცას იქით მთებია,
მთას იქით ქედები,
ქედებზე ხან როგორც არწივი სხდებიან,
ხან როგორც მტირალი გედები...

ხან ცალკე წამოვა ნაბერი პაწია,
წვიმის და ქარიშხლის ნაცემი,
ღრუბელი როდია, — ჰაღარა კაცია,
უკანაც მოსდევენ კაცები.

მოდიან, მოსდევენ, კლდეებში ჩადიან,
მუქარით ერტყმიან ბაზალეთს.
ცრემლებით ავსილი ბადია
ამ ტბაში რამდენჯერ ჩაცალეს!

ამ ტბაში აგუბეს და ოქროს აკვანი
ამდენხანს ფარულად არწიეს
და ეხლა მოსულან, რომ რკინის საკანი
გაუხსნან დაკეტილ არწივებს.

ეს წარღვნა არ არის,
ღრუბლებიც როდია,
ეს მიწა ამდგარა წუხილით მოცულ!
მოდიან ხევებზე,
ტყეებზე მოდიან
და თავბედს იწყევლის, ვინც კია მოსული:

„გვეყოფა ამდენი ბოლმა და ვარამი,
ჩვენი გზა სიმშილმა შეკრობა!
მთავრობა რას ჰქვია,
არ გვინდა არავინ!
ძაღლური ცხოვრება გვეყოფა!“

„მთავრობაც,
ქვეყანაც — ქვეყანას არა გავს,
საწყალ კაცს რომელი გამართავს!
პური ჩვენ არა გვაქვს,
მიწა ჩვენ არა გვაქვს,
ფუ ასეთ კაწონს და სამართალს!“

„მონობა დავამხეთ და ეხლა რაც არი —
რა არის თუ არა უღელი!
ხნულებში ცეცხლია,
ჭოხებში ნაცარი
და გზებზე ნადირობს ჯუღელი!“

„ჯუღელის რაზმები კარ და კარ დადიან,
დაიქცა, დაივსო გლეხობა!
ჩვენც გვინდა ცხოვრება,
სიცოცხლე გვწადიან,
გვეყოფა წამება,
გვეყოფა!“

ეს წარღვნა არ არის,
ღრუბლებიც როდია,
ეს — მიწა ამდგარა გაროზგილ კაცივით!
მოდიან მუქარით,
დუდუნით მოდიან
და ცაში არწივებს უყივის არწივი.

ჰაღარა ჩრდილელი მოჭრილ ხეს დაენდო,
ჰაღარა ტყვესავით ჩაბარდა.
ღრუბლებში პირველი ვარსკვლავი აენთო
და ტბაში კრიალა წვეთივით ჩავარდა.

ჩასცქერის ჩრდილელი:
აკვანი ქანაობს,
შიგ ოქროს შანდალი ანთია,
ეს — ხალხის ოცნება
ცრემლებში ბანაობს,
რომ კარი გაუღოს განთიადს.

ამ ცრემლით
მან გმირი ყრმობამდე ატარა,
გაზარდა, მნათობად დახატა,
ამ ოხვრამ,
ამ ცრემლმა პატარამ,
ის ქვეყნის იმედათ გახადა.

ბაზალეთს ჩასცქერის ჰაღარა სტუმარი
და გმირი აკვნიდან ამოდის მზესავით.
ჩრდილელი წამოდგა და ხალხი მდუმარე
ღამეში შეირხა მკვნესარი.
„სტალინი აქ იყო! — ტევრში ხმა ზრიალებს, —
მან ამ მთებს ნათელი მოჰფინა!
აქ, სადაც თითო ხე შრიალებს,
ყრმობაში სტალინი ყოფილა!
აქ იყო სტალინი!
სამშობლოს მთა და ბარს
მისი გზა შუქივით არტყია,
ამ მიწას — ქვეყნიურ წამების თანაბარს,
ამ ღამის ნათელსაც ატყვია!
სტალინი აქ იყო!
კერიდან კერამდი
იარა და ჭოხებს შეჰფიცა შვილობა!
მან პირველს წაქცეულს თავისი პერანგით
ძმასავით შეუკრა ჭრილობა!
მან ცეცხლი დათესა, რომ ცეცხლით დამწვარი
ქვეყანა დაეხსნა გლოვიდან,
გაღვივდა თესლი და ოქტომბრის ხანძარი
ღამეში დღესავით მოვიდა!
აქ არის სტალინი!
ორი მზე ჰფენია
სადაც ცას ეხდება ბნელეთის სარქველი:
ლენინი —
რუსული მიწაწყლის გენია,
სტალინი —
მასავით მგზნებარე ქართველი!

ეს ორი სახელი
დროშებზე ანთია
და გმირებს ბრძოლაში იტაცებს,
ეს ორი ვარსკვლავი
გააღებს განთიადს,
ამ ტბაზე,
ამ ტანჯულ მიწაზეც!“

ჩრდილელი დადუმდა და ბნელში გაისმა —
ტყე ოხვრით აავსო ყრილობამ.
ტბასავით შეკრული ტბასავით გაიხსნა
ამდენი დარდი და ჭრილობა:

— „მე ხარი წამართვეს შვილივით გაზრდილი,
უღელში შემიხსნეს მთავრობის კაცებმა!“ —
წამოდგა მოხუცი ყავარჯენ გაწვდილი,
თითქო სურს მიწაზე მეხივით დაცემა.
— „მე ჩემთვის ლუკმაც კი არა მაქვს სამყოფი,
რაც მჭონდა წაილეს, სახლკარი ამიკლეს!“
— „მე შვილი დავკარგე სალდათში ნამყოფი,
არ მისცა თოფი და ჭოხის წინ დამიკლეს!“
— „ღამე ვერ გავსულვართ, დღისითაც შიშია,
სოფლები გვარდიამ შეღობა.
გარეთ გზა შეგვიკრეს, შინ ცოლშვილს გვიშიან,
მაშ საით წავიდეს გლეხობა!“
— „საით და არსაით!“ — ჩრდილელის ძახილმა,
კვლავ ცეცხლი შეუნთო სახალხო იარას, —
„ხომ ნახეთ, — მთას იქით იელვა მახვილმა,
ჩვენც ხელი მოვკიდოთ იარაღს!“
— „იარაღს გვართმევენ, კარდაკარ დადიან,
მიწაში ეძებენ, დათხარეს ბინები,
რაც კი რამ მოხელა — წაიღო გვარდიამ!“ —
ცალხელა ხევსური იძახის გინებით.
— „იარაღს ნუ მივცემთ, მიმალეთ ხრამებში,
კლდეებში, ტყეებში შეზიდეთ!“
— „იარაღს ვერ მივცემთ!“ — ტევრსა და ღამეში
ძახილი გაისმა ზედიზედ.

ლეგას ჯერ შორიდან მოესმა გუგუნი,
თითქოს ტყე კაცივით ოხრავდა,
მერე ტბა ადუღდა და ღამის უკუნი
მკვნესარე გულიდან მოხადა.

ხესთან დგას, ფოთოლი ფოთოლზე ცახცახებს,
ღრუბლები მისდევენ იალაღს,
მოვა და ვიღაცა ზედიზედ ჩასძახებს:
„ნუ დასთმობთ... ნუ მისცემთ იარაღს!“

თოფს ხელი დაავლო და სწრაფი ნახტომით
ძახილზე დაეშვა ბორცვიდან,
მაგრამ ტყის გადაღმა წინ დახვდა დამხვდომი
და მანაც ჩახმახი მოზიდა:

— „შესდექი!“ — შესძახა და თვალმა იელვა, —
„საიდან მოსულხარ!
სად მიხვალ!
ვინა ხარ!“
— „მწყემსი ვარ!“ — მწყემსურად მიუგო
მთიელმა,
„მეც ჩემს ჯავრს და ბოღმას ამ გულში ვინახავ!
ამდენხანს გისმენდით,
მე ვინ რას მეტყოდა —
რაც ეხლა გავიგე იმედის მთესავი.
თუ ძმა ხარ, გამიშვი,
განა არ მეტყობა —
მეც ერთი საწყალი კაცი ვარ თქვენსავით!
მეცა მაქვს სათქმელი, როდემდე ვიწოდე,
როდემდე ვწყევლიდე იმ ოხერ თრიალეთს!
მეც მინდა გაიმბოთ, რომ ყველამ იცოდეთ —
ამ გულში რა ცეცხლიც ტრიალებს!“

დამხვდომმა შეხედა, მწყემსი მწყემსს გაიგებს,
იცნო და მიენდო მიტომაც
და როგორც შრიალით ჩრდილი ჩრდილს წაიღებს,
გზა მისცა და მიჰყვა თვითონაც...

ღამეა შავად გამოსახული,
ცალი ვარსკვლავი ტბაზე კიაფობს,
მინდვრად გასული დედაზაფხული,
სავსე ჯეჯილებს მკერდით მიაპობს.

გახსნის თავთავებს,
მარცვალს მძინარეს
დასძრავს,
აპურებს მხნე და მზრუნველი
და მოაქვს ღამის უწყვეტ მდინარეს,
ჯერ ისევ რძიან ყანის სურნელი.

ჰშიათ,
ქოხებში დასცურავს ბნელი,
ზოგან კანკალებს ჭრაქი მბჟუტავი.
ჰშიათ,
კარდაკარ გაწვდილი ხელით,
დადის სიმშილი სულთამხუთავი.

ჯერ არ დამდგარა მინდვრებში რთველი,
ჰშიათ,
გაუწყდა თმენას საზღვარი,
დადის კარდაკარ ცეცხლივით მწველი
და ნადირივით გაუმაძღარი.

აღვიძებს ბავშვებს, ეძახის მამებს,
დედების ცრემლით წამწყმედს ჰფერავს
და როგორც ქარი, უძილო ღამეს
კვნესის,
დასტირის თვითეულ კერას.

...

ლეგა ქვაზე დგას,
სიტყვას უჩვევი
როგორც ლანჩერი მთიდან დაძრულა,
უცებ შეუკრა ბოღმამ ტუჩები
და სიტყვა მაინც ვერ დაასრულა:

„დედას მტრისასა“... —
რისხვით ივსება,
თითქო ნატეხი იყოს მეხისა, —
„თქვენთან სიკვდილი ხომ მეღირსება,
თქვენთან სიცოცხლი თუ არ მეღირსა!“

„სიკვდილს რათ ამბობ, ვაჟკაცს სალხინოდ
უნდა მიაჩნდეს თოფის ალება,
სიკვდილს მტრის კერა დავათალხინოთ!“ —
ისმის ჩრდილელის გადაძახება...

კრება დასრულდა. ყველა იჩქარის—
ვინც კი ნათქვამით ჯავრი მოლია,
ტევრში ტოტებმა გახსნეს ჰიშკარი
და ჩრდილმა ჩრდილი გაიყოლია.

მისწყდა ხმაური, თითქო ჩარაზეს,
მთები ღობურად შეკრეს ღრუბლებმა,
მხოლოდ ჩრდილელი ტყიან შარაზე,
ტყის სამს ბინადარს ესაუბრება:

თედო ბაზალეთს უმეთაურებს,
მიხა ქსანსა და მერე ნარეკვავს,
გაბო მწითური მტერს გზას აურევს —
როცა სანიშნო ზარი დარეკავს.

სთქვეს და დასცილდნენ.
ხშირი ფოთლები
შეაწკარუნეს წვიმის წვეთებმა,
ზოგან ღამეა შეუშფოთველი,
ზოგან —
კაცის ხმა შეეფეთება.

სადღაც იელვებს, დაჰკრავს მეხივით,
ცეცხლი და კვამლი ერთად ირევა
და ცა — შუაზე ჩამოტეხილი,
ისევ ღამეში დაიძირება.

Передовики сельского хозяйства — в Верховный Совет Башкирской АССР

Выдвижение кандидатов в депутаты Верховного Совета Башкирской АССР

Г о р о д с к о й о к р у г

Ленинский избирательный округ № 1

Ленинский избирательный округ № 2

Ленинский избирательный округ № 3

Ленинский избирательный округ № 4

Ленинский избирательный округ № 5

Ленинский избирательный округ № 6

Ленинский избирательный округ № 7

Ленинский избирательный округ № 8

**Ленинский избирательный округ №